ანალიტიკური წერა

I ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის ცენტრალურ უბანში მდებარე რესტორანი ცნობილი იყო თავისი გემრიელი ეროვნული კერძებით. რესტორნის ინტერიერი ეთნოგრაფიულ სტილში იყო მოწყობილი. საღამოობით დარბაზში ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის კონცერტი იმართებოდა.

ადმინისტაციამ რესტორნის განახლება გადაწყვიტა. მოიწვიეს ახალი შეფმზარეული, რომელიც დახელოვნებული იყო ევროპული კერძების მომზადებაში. სპეციალურად დაიწყეს ამ კერძებისთვის ინგრედიენტების შემოტანა უცხოეთიდან. მენიუში მთავარი ადგილი ევროპულმა კერძებმა დაიკავა. ინტერიერიდან გაქრა ეთნოგრაფიული ელემენტები, ხოლო ხალხური ანსამბლის კონცერტები საღამოობით ჯაზურმა მუსიკამ ჩაანაცვლა.

განახლებიდან ორი თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ რესტორნის კლიენტთა რაოდენობამ კი არ იმატა, არამედ იკლო. რესტორნის ადმინისტრაციამ დაასკვნა, რომ მათ მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ გაამართლა.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომელთა გამო განახლებულმა რესტორანმა კლიენტები ვერ მიიზიდა. კრიტიკულად შეაფასეთ რესტორნის ადმინისტრაციის დასკვნა.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

საუკეთესოა ის სპორტული კომენტატორი, რომელსაც მატჩის ტრანსლაცია მიუკერძოებლად, გაწონასწორებულად, საკუთარი პოზიციის გამოვლენის გარეშე მიჰყავს.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.